

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

*ხელნაწერის უფლებით*

ქეთევან დავითაძე

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ რედაქციები

სპეციალობა: ლიტერატურათმცოდნეობა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

ბათუმი

2018

დისერტაცია შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:**

**რამაზ ხალვაში**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი.

**შემფასებლები:**

**ელგუჯა მაკარაძე** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

**შოთა ზოიძე** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერეტუსი პროფესორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი, სახელმწიფო პრემიის დისერტანტი.

**ლელა კუკულაძე** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2018 წლის 7 დეკემბერს, 17 საათზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი 6010, ნინოშვილის ქუჩა N 35, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, აუდიტორია № 37

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკასა და ამავე უნივერსიტეტის ვებგვერდზე ([www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge)).

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი: ნათელა ფარტენაძე.

### ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**კვლევის საგანი და თემის აქტუალობა.** ქრისტიანობამ წარუშლელი კვალი დატოვა კაცობრიობის ისტორიაში. ამ რელიგიამ განსაზღვრა ბევრი ქვეყნისა თუ ხალხის მომავალი და პოლიტიკური ცხოვრების წესი, ყოფა და კულტურა. მათ შორისაა საქართველო და ქართველი ხალხი.

ქრისტიანობამ პირველ საუკუნეებში მრავალი დევნა და დამცირება გადაიტანა. ახ. წ. IV საუკუნეში ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა არაერთ ქვეყანაში და ქრისტიანთა მასობრივი ტანჯვა-წამების ეპოქა დასრულდა. საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც IV ს-ის 20-იან წლებში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარა და ეს ფაქტი უპირობოდ უკავშირდება ქართველთა განმანათლებლის - წმინდა ნინოს სახელს.

საქართველოში ქრისტიანობა დიდი ხნით ადრე მოციქულებმა იქადაგეს, რაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი გახდა.

წმინდა ნინოს დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ქართლში შემოსვლის დროს ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. მისი ქადაგების შედეგად სამეფო კარის წევრებთან ერთად მთელი ერი მოექცა ახალ სარწმუნეობაზე. ამის გამო ითვლება იგი ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთა სწორად.

ცხადია, ისმის კითხვა, თუკი საქართველოში ქრისტიანობა მოციქულებმა გაავრცელეს, მაშინ რატომ გახდა აუცილებელი წმინდა ნინოს ქადაგება? ეს კითხვა უძველეს დროშიც აწუხებდათ. ჯერ კიდევ, ეფრემ მცირე შეეცადა აეხსნა, თუ რით იყო გამოწვეული ქრისტიანობის ხელახალი ქადაგება და ახალი მისიონერი. მისი აზრით, მოციქულების შემდეგ ხალხმა დაივიწყა ქრისტეს მოძღვრება და ისევ წარმართობისაკენ მიიქცა, ქვეყანა - „მრავალჯამ დაიპყრნა ლუარძლმან მეკერპეთამან“. ეფრემ მცირის

განმარტებით, იგივე მომხდარა თვით საბერძნეთშიც, სადაც კონსტანტინე დიდის ხელშეწყობით, ქრისტიანობას გასაქანი მიეცა მთელი რომის იმპერიის მასშტაბით. ეფრემ მცირის აღნიშვნით, უფალმა „არცა ჩუენ მცირენი დაგვტევნა უღლუაწად, არამედ ესრეთ განაგო კუალად აღმოწოდებაჲ ჩუენი“ და ჩვენთან ხელახლა საქადაგებლად გამოგზავნა წმინდა ნინო.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზეც, რომ ქართველთა განმანათლებელი ქალია. ამ ფაქტის შესახებ ცნობილი ქართველოლოგი ბერნარ უტიე აღნიშნავს: „ნამდვილად შეუდარებელი არის საქართველო იმიტომ, რომ თქვენს დედა სარწმუნოებაში, თქვენი განმანათლებელი, თქვენი მოციქული - ქალია; რამდენადაც ვიცი, ეს მსოფლიოს ისტორიაში მხოლოდ ერთხელ მოხდა და ისიც თქვენთან, ქართველებთან“.

აღნიშნულ ფაქტს ჯერ კიდევ XII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქმა, ნიკოლოზ გულაბერისძემ (1150-1177) მიაქცია ყურადღება. იგი ცდილობს, პასუხი გასცეს კითხვას: „ხოლო პირველად ესე სამიებელი არს, თუ რამსთვს უკუე დედაკაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან ჩუენდა მიმართ“. ნიკოლოზ გულაბერისძემდე, როგორც მკვლევარი კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, არავის მოსვლია აზრად, პასუხი გაეცა კითხვაზე: „რატომ აირჩია ღმერთმა ქალი ამ მიზნის განსახორციელებლად და არა მამაკაცი“. თავის დროზე თავად ნიკოლოზ გულაბერიძემ გასცა პასუხი დასმულ კითხვას.

ნიკოლოზ გულაბერიძის მიხედვით, ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც განაპირობა წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, იყო საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრობა. ღვთისმშობელს თავად სურდა ამ ქვეყნის მოქცევა, მაგრამ მაცხოვარმა მის მაგივრად საქართველოს მოსაქცევად მოციქულთასწორი წმინდა ნინო მოავლინა. თავისთავად საქართველოს განმანათლებლად მოსული ღირსი დედა მალე თავად შეირაცხა „ქართლის მაცხოვრად (მხსნელად)“, „დედად ქართველთა თემისაჲ“.

ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი წერილობითი წყაროები მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. წმ. ნინოს შესახებ ცნობები დაცულია, აგრეთვე, ადრეული ხანის უცხოურ (ბერძნულ-რომაულ, არაბულ-კოპტურ, სომხურ და სლავურ) წერილობით წყაროებში.

ძველ ქართულ მწერლობაში წმინდა ნინოს ცხოვრების ხუთი ვრცელი და 2 სვინაქსარული რედაქცია შეიქმნა. ქართული წყაროების მრავალფეროვნება ადვილი ასახსნელია და იმითაა გამოწვეული, რომ ყოველ ეპოქაში ახლებურად გადაიაზრებდნენ ქართველთა განმანათლებელი ქალწულის ღვაწლს.

**ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანია:** წმ. ნინოს ღვაწლისა და ქართლის ქრისტიანიზაციის ძირითადი ეპიზოდების ანალიზი „წმ. ნინოს ცხოვრების“ კიმენურ, მეტაფრასულ და სვინაქსარულ რედაქციებზე დაყრდნობით.

წმ. ნინოს ღვაწლის წარმოჩენა აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა ქართული ჰაგიოგრაფიის მთელი ისტორიის მანძილზე. ყოველი ახალი ეპოქა ახლებურად გადაიაზრებდა და წარმოაჩენდა ქართველთა განმანათლებელი ქალწულის ღვაწლს, იქმნებოდა „ნინოს ცხოვრების“ ახალ-ახალი რედაქციები, რომლებიც თავისებურად პასუხობდნენ სხვადასხვა ეპოქის მოთხოვნილებას. აქედან გამომდინარე, კვლევის მთავარი ამოცანაა „ნინოს ცხოვრების“ ძირითადი რედაქციების თავისებურებათა გამოკვეთა და ანალიზი.

**საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა:** ნაშრომში მონოგრაფიული სისრულით წარმოჩნდა წმინდა ნინოს ცხოვრების თითოეული რედაქციის თავისებურებები. სადისერტაციო ნაშრომს მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად ექნება პედაგოგიური დანიშნულებაც, იგი გამოადგება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.

**კვლევის მეთოდოლოგია** - ეფუძნება შედარებითი კვლევის მეთოდს, რომელიც ადგენს მხატვრული ტექსტის მიმართებას სხვა

ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში ჩართულ მხატვრულ ტექსტებთან. ამ მეთოდის გამოყენებამ საშუალება მოგვცა „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციათა თავისებურებები გაგვეანალიზებინა ტექსტების შეპირისპირების შედარების, შეპირისპირებისა და განზოგადების გზით. სხვადასხვა ტექსტის რედაქციული თავისებურებების ანალიზის დროს ვიყენებთ, აგრეთვე, ინტერტექსტურობის თეორიას, ხოლო ჰაგიოგრაფიული ტექსტების ცალკეული რეალიების განმარტების დროს – ჰერმენევტული კვლევის მეთოდს.

**ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი:** ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. კვლევის მიზნებმა, ამოცანებმა და პრობლემის გადაჭრის ლოგიკამ განაპირობა დისერტაციის შემდეგი სტრუქტურა:

#### **შესავლი**

**თავი I. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შემადგენლობა და სტრუქტურა**

**თავი II. ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრება“**

**თავი III. არსენ იყალთოელის „ნინოს ცხოვრება“**

**თავი IV. ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი“**

**თავი V. ნინოს ცხოვრების პერიფრაზი და სვინაქსარული**

#### **რედაქციები**

**ძირითადი დასკვნები**

**ბიბლიოგრაფია**

#### **ნაშრომის მოკლე შინაარსი**

**თავი I – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შემადგენლობა და სტრუქტურა.**

უძველესი ქართული ლიტერატურული წყარო, რომელმაც წმინდა ნინოს ცხოვრება შემოგვინახა ცნობილია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სახელით. ეს უძველესი ძეგლი აღმოჩენა-გამოქვეყნების დღიდანვე მოექცა ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ორი ნაწილისაგან შედგება: პირველია „ქრონიკა“, რომელშიც ქრონიკების სახით მოთხრობილია ქართლის ისტორია ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვით IX საუკუნემდე.

აღნიშნულ ქრონიკაში წმინდა ნინოს მოღვაწეობას მცირე ადგილი აქვს დათმობილი, რის გამოც, მის ამ ნაწილს „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქციას უწოდებენ.

„მოქცევაჲს“ მეორე ნაწილში გადმოცემულია „წმინდა ნინოს ცხოვრება“ უფრო სრული სახით. ამიტომ, იგი ვრცელი რედაქციის სახელით არის ცნობილი.

**„მოქცევაჲ ქართლისაჲმ“** ჩვენამდე ოთხი ნუსხით მოაღწია. აქედან **შატბერდული** (იგი სამხრეთ საქართველოში არსებულ შატბერდის მონასტერში გადაიწერა) და **ორი სინური** (სინას მთაზე გადაწერილი) რედაქცია X საკუნისაა, ხოლო **ჭელიშური** (იგი ჭელიშის მონასტრის კუთვნილება იყო) XIV საუკუნით თარიღდება. **„მოქცევაჲ ქართლისაჲს“** აღნიშნული ხელნაწერები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ვერსიებს წარმოადგენენ.

მართალია, ქართველთა განმანათლებელისადმი მიძღვნილი თხზულების უძველესი ხელნაწერი X საუკუნით თარიღდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი უძველესი თხზულებაც („მოქცევაჲ ქართლისაჲ“) ამ დროს დაიწერა. იგი გაცილებით ადრე უნდა შექმნილიყო წმ. ნინოს თანამედოვე მოღვაწეების – სიდონიას, აზიათარ მღვდლის, პეროჟავრი სივნიელის, სალომე უჯარმელის, იაკობ მღვდლის, სუჯი დედოფლისა და მირიან მეფის (შედარებისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ „შუმანიკის წამება“, რომელიც V საუკუნეშია დაწერილი, მაგრამ მისი უძველესი ნუსხა – პარხლის მრავალთავი, A-95 ხელნაწერი, XI საუკუნით თარიღდება).

კარგა ხნის მანძილზე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“** IX საუკუნეში შექმნილი ძეგლია. დღესაც მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ

მოსაზრებას იზიარებს. თავიანთი შეხედულების დასამტკიცებლად მათ მოაქვთ ის ფაქტი, რომ „მოქცევაჲს“ ქრონიკაში თხრობა IX საუკუნით მთავრდება და აქედან გამომდინარე, „წმ. ნინოს ცხოვრებასაც“ ამ საუკუნით ათარიღებენ.

უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულმა ტექსტოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ დაწერილია არა IX საუკუნეში, როგორც აქამდე მიაჩნდათ, არამედ IV საუკუნეში – წმინდა ნინოს გარდაცვალების შემდეგ. როგორც მკვლევრები მიუთითებენ, ავთენტურ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია, რადგან „წმინდა ნინოს ცხოვრებას“ მნიშვნელოვანი ცვლილება განუცდია.

დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკაში“ შემავალი მოკლე „ნინოს ცხოვრება“ და ვრცელი „წმ. ნინოს ცხოვრება“ სხვადასხვა დროს უნდა იყოს დაწერილი. გარდა ამისა, სხვადასხვა პერიოდის რედაქტირების კვალი იკითხება თითოეული ამ ნაწილის ცალკეულ ტექსტსა, თუ შემადგენელ მონაკვეთებში. ვერც იმაზე შეიქმნა ერთიანი აზრი, თუ როდის უნდა მომხდარიყო ამ ორი ნაწილის გაერთიანება და ეს მაშინ, როდესაც მეცნიერთა ერთ ჯგუფს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, საერთოდ ერთიან თხზულებად მიაჩნიათ.

ყველაზე გვიანდელი თარიღი, რომელიც გამოთქმულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ თავდაპირველი რედაქციის შექმნის თაობაზე, ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის. მისი დაკვირვებით, განსახილველი თხზულება IX საუკუნეში შექმნილი ძეგლია. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თავდაპირველი ვარიანტის IX ს-ში შექმნის ვერსია გაიზიარა კ. კეკელიძემაც. ამავე მოსაზრებას იზიარებს აგრეთვე ც. ქურციკიძეც.

თავად ძეგლის პირველად გამომქვეყნებელის ე. თაყაიშვილის აზრით, ის ფაქტი, რომ ქრონიკებში გაბმული თხრობა ქართლის სახელმწიფოებრიობის წარმოქმნიდან მოყოლებული - სტეფანოზ II-ის ერისმთავრობამდე, ანუ VII ს-ის II ნახევრამდე გრძელდება, და რომ მის შემდეგ ერისთავთა და კათალიკოსთა მშრალი სიაა



მოცემული, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ „მოქცევა ქართლისაჲს“ თავდაპირველი შექმნის სავარაუდო დროა VII ს-ის II ნახევარი. ამ აზრს იზიარებდა პ. ინგოროყვა და მ. ლორთქიფანიძე.

ზემოთქმულ მეცნიერთა შეხედულებისაგან გასნხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს სოლ. ყუბანეიშვილი. მისი აზრით, თხზულება VI ს-ის დასასრულსაა დაწერილი, როცა სტეფანოზ I-მა მცხეთის ჯვარი ააგო და დაწესდა „პატიოსანი ჯვრის“ აღმართვის დღესასწაული.

XX ს-ის ბოლოს, საკითხის ახლებურად გააზრების გამო, ქართულ ისტორიოგრაფიაში, კვლავ წინა პლანზე წამოიწია „მოქცევა ქართლისაჲს“ დათარიღებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა. კიდევ ერთხელ გამოიკვეთა „მოქცევა ქართლისაჲს“ კულტურულ-ისტორიულ ღირებულების მაღალი დონე, ეს კი გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ იგი ჩვენამდე მოღწეული ქართული ისტორიოგრაფიის უძველესი ძეგლია, არამედ იმითაც, რომ როგორც ახლად ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, „მოქცევა ქართლისაჲს“ ქართლის გაქრისტიანების თანადროულად უნდა იყოს შექმნილი (მ. ჩხარტიშვილი, რ. სირამე).

„მოქცევა ქართლისაჲს“ გაქრისტიანების თანადროულად შედგენილ ძეგლად მიიჩნევს ზ. ალექსიძეც. როგორც იგი აღნიშნავს: „...სავარაუდოა, რომ თავდაპირველად დაიწერა ქართლის ისტორია მირიან მეფის გარდაცვალებამდე და მას ეწოდებოდა „მოქცევა ქართლისაჲს“. მასში შედიოდა ქართლის სამეფოს შექმნის, მცხეთის შენების მშრალი ქრონიკა, წარმართ მეფეთა სია და ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების ვრცელი მოთხრობა. ასეთი სტრუქტურა ზუსტად ასახავს ტრადიციულ საეკლესიო ისტორიებისა და ქრონიკების მოდელს. შემდეგში „მოქცევა ქართლისაჲს“, როგორც ჩანს, დაემატა სხვა ნაწილებიც, ხოლო სათაური ძველი შერჩა. სულ ბოლო (IX ს. 30-იან წწ.) მას უნდა დართვოდა ერისთავებისა და კათალიკოსების სია. ამასთან ერთად უნდა შექმნილიყო ის პროტორედაქცია, რომლიდანაც

მომდინარეობს სინურ-შატბერდულ-ჭელიშური რედაქციები, რომლებშიც „მოქცევა ქართლისაჲს“ სათაურით გაერთიანდა „ქრონიკა“ და „ნინოს ცხოვრება“.

„მოქცევა ქართლისაჲს“ თავდაპირველი ვარიანტის IV ს-ში შექმნას იზიარებენ: ივ. ლოლაშვილი, გ. კუჭუხიძე, გრ. გიორგაძე და ს. გოგიტიძე.

როგორც ვხედავთ, ქართული ისტორიოგრაფიის უძველესი ძეგლის „მოქცევა ქართლისაჲს“ თავდაპირველი რედაქციის შექმნის დროსთან მიმართებაში, საკმაოდ ფართო: IV-IX ს-თა არეალია გამოკვეთილი.

ერთ რამეში ყველა თანხმდება, რომ თხზულებას არაერთგზისი რედაქტირების კვალი ემჩნევა. ქართლის სამეფოს გაქრისტიანების დროთა სიახლოვეს შექმნილი ძეგლი, როგორც მინიმუმ ორჯერ: VII და IX ს.ს.-ში ახალი მონაცემებით შეუვსიათ უცნობ რედაქტორებს – ძეგლისათვის ერისთავთა და კათალიკოსთა მშრალი სია დაუმატებიათ. ამგვარი სახით „გასრულებული“ ძეგლი, თავის მხრივ, საფუძველი გამხდარა მის შემდგომად შექმნილი არაერთი საისტორიო თხზულებისა („ქართლის ცხოვრება“ და სხვა).

„მოქცევა ქართლისაჲს“ შედგება შემდეგი თავებისაგან:

თავი ა (ქრონიკა, მასში ჩართული მოკლე „ნინოს ცხოვრებით“); თავი ბ; თავი გ; თავი დ; თავი ე; აღწერა დედაკაცმან სიდონია, ასულმან აზიათარისმან; თავი ვ: თქუმული მისვე სიდონიასი; თავი ზ: აღწერილი მისვე სიდონიასი; თავი ლ: მისივე აღწერილი აღშენებისათვის ეკლესიათამსა; თავი თ: აღწერილი აზიათარ ჰურიისა, რომელი იყო მღვდელი პირველ მცხეთას და ნათელ-ილო ჯელსა შინა ნინომსსა; თავი ია: აღწერილი იაკობ მღვდელისა და იოანე მთავარეპისკოპოსისა და აღმართებისათვის ფატიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა ჯუარისა მცხეთას; თავი იბ: წიგნი, რომელი დაწერა მირიან მეფემან ქართლისამან ჟამსა

სიკუდილისა მისისასა; ანდერძი მირიან მეფისა ძისა მიმართ თვისსა რევისისა და ნანა დედოფლისა სიტყუა გლოვისაჲ.

**თავი II - ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრება“.** ნაშრომის ამ თავში განვიხილავთ XI საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ისტორიკოს ლეონტი მროველის რედაქციას, რომელიც **„ქართლის ცხოვრებაშია“** შეტანილი.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობა, რომ „არჩილის წამება, მეფეთა ცხოვრება და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმა დაწერაო“. ვინ იყო ლეონტი მროველი და როდის ცხოვრობდა იგი, ამის შესახებ ჩვენ მწირი ცნობები მოგვეპოვება. საყურადღებოა, რომ ათონის ივერთა მონასტრის ერთ ხელნაწერში (Ath.61) მოხსენიებულია „ლეონტი მროველი მთავარეპისკოპოსი“. 1066 წლით დათარიღებული თრეხვის ქვის ჯვარი კი გვიდასტურებს, რომ რუისის ეპისკოპოსი ლეონტი XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა.

ლეონტი მროველი ნაწარმოებს ორ ნაწილად ჰყოფს: პირველი შეიცავს ქართველთა **„პირველთაგანია მამათა და ნათესავთა და მეფეთა“** ცხოვრებას წარმართობის დროს, ხოლო მეორე - **მირიანიდან მოყოლებული ვახტანგ მეფემდე.**

„ნინოს ცხოვრების“ მეორე რედაცია წარმოადგენს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდულ-ჭელიშურ-სინური ვერსიების თავისებურ გადაკეთებას. ლეონტის მროველს ქრონოლოგიურ საფუძვლად მოკლე „ნინოს ცხოვრება“ აუღია და მის სათანადო მონაკვეთებში ჩაურთავს ვრცელი (შესაბამისი) პასაჟები ვრცელი „ნინოს ცხოვრებიდან“. გარდა ამისა, ლეონტი მროველის თხზულებაში თხრობა მესამე პირში მიმდინარეობს.

ლეონტი მროველის მიერ ტექსტში შეტანილი რედაქციული ცვლილებები საკმარისი არ აღმოჩნდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტის ქრონოლოგიურად სწორხაზობრივ თხზულებად გადაკეთებისათვის. ამიტომაც არსენ იყალთოელს, როგორც მეტაფრასტს, სრული უფლება ჰქონდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და

ლეონტის თხზულების „მეფთა ამბავის“ შესახებ ეთქვა, რომ „ესე ნეტარისა ნინოსს ცხორებად შეუწყობელად და განზნეულად „ქართლისა მოქცევასა“ თანა და „ჰანზავსა მეფეთასა“ თანა აღრეულად სწერია, ვითარცა თქუენ უწყით, რომელიმე თვთ მის წმიდისაგან მითხრობილად, რომელიმე მეფისა მირიანისგან, სხუად იაკობ მღდელისაგან, სხუად აბიათარისგან, სხუად კუალად სიდონიასგან, გარნა წინ უკუანა და უკუანა წარ, იგივე და ერთი პირი. და ამისთვის საეკლესიოდ მკითხველთათვის ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათვის უკმარ და ვერ საცნაურ“.

მიუხედავად იმისა, რომ **„მოქცევამ ქართლისამ“** და **ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრება“** თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთმანეთს, მათში მაინც შეინიშნება ლეონტი მროველის მიერ შეტანილი ცვლილებები, როგორც პერიფრაზული, ასევე თანმიმდევრული განლაგების მხრივ.

პარალელურ ტექსტში კარგად ჩანს, რომ ლეონტი მროველი შერჩევით, მაგრამ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს „მოქცევას“ ცალკეულ მონაკვეთებს, თუმცა მას ცვლილებები შეაქვს პირველწყაროდან დამოწმებულ სახელწოდებებში.

ასევე ეს ორი ტექსტი ენობრივი თვალსაზრისითაც განსხვავდება, ვინაიდან **„მოქცევამში“** შეინიშნება ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მაგალითად: **„მოქცევამ“** – მო-ვინმე-ვიდა, ხოლო ლეონტისთან გვაქვს – მოვიდა.

**თავი III. არსენ ბერის „ნინოს ცხოვრება“.** არსენ იყალთოელმა ორივე აღრეული რედაქციის ნაკლი (ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა და მწყობრი კომპოზიციის უქონლობა) გაითვალისწინა და XII საუკუნის დასაწყისში შექმნა „ნინოს ცხოვრების“ ახალი – მეტაფრასული რედაქცია. მან შექმნა დიდი პატრიოტული შემართების ისტორიულ-ლიტერატურული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საინტერესო და ზოგჯერ უნიკალურ ცნობებს ქართლის მოქცევისა და ქართველთა

განმანათლებლების (როგორც მოციქულების, ისე წმ. ნინოს) მოღვაწეობის შესახებ.

„ნინოს ცხოვრების“ მეტაფასტულ რედაქციის დასაწყისში არსენ ბერი მოგვითხრობს მოციქულთა ქადაგებაზე და როგორც გარკვეულია, ამ მონაკვეთში ემყარება ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ თხზულებას – „ანდრია პირველწოდებულის მიმოსლვას“ (ი. ლოლაშვილი, რ. ხალვაში). ამის შემდეგ ავტორი, ეფრემ მცირის კვალად, წერს, რომ „მეფე ქართველთა და უმრავლესი კერძო ქუეყანისა ჩრდილოისა და მთა მასვე სიბნელესავე და საცთურსა კერპთმსახურებისასა“, რამაც შექმნა წმ. ნინოს მისიონერული ღვაწლის აუცილებლობა.

არსენ იყალთოელმა, ანუ იგივე არსენ ბერმა „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია შიო-მღვიმეში დაწერა.

მისი, როგორც მეტაფრასტის მიზანი იყო, დაეწერა ნინოს ცხოვრების ისეთი ტექსტი, რომელიც დააკმაყოფილებდა XII საუკუნის ქართველი საზოგადოების მხატვრულ გემოვნებას, არ დაამახინჯებდა ისტორიულ სინამდვილეს და ივარგებდა ლიტურგიკულ პრაქტიკაში.

მისი მიზანდასახულობა კარგად ჩანს „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციაზე დართულ „ანდერძში“, სადაც ყურადღება გაამახვილა რამდენიმე გარემოებაზე:

ა. დაასახელა წყაროები, რომლებიც გამოიყენა თხზულების წერისას, სახელდობრ: „ქართველთა მოქცევა“ (ანუ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“), ლეონტი მროველის „ჰანბავი მეფეთა“, საღმრთო წერილი და წმიდა მამათა ნაშრომები;

ბ. აღნიშნა საკითხავთა ნაკლი - მათში თხრობის თანმიმდევრობა დარღვეულია („წინა უკანა და უკანა წარ“); ამის გამო წასაკითხად მოსაწყენია, მოსასმენად კი „უხმარ და ვერ საცნაურიო“.

გ. იქვე ავტორი იუწყება მიზეზს: „ამის პირისათვის დაფარულად მდებარე იყო“ და ნინოს ხსენების დღეს მისი ღვაწლის მოთხრობას გვერდს ვუვლიდითო.

დ. გვამცნობს მოკლე შინაარსს: მოთხრობილია წმიდანის ცხოვრება „ლიტონითა სიტყვთა“, ამბავთა თანმიმდევრობის დაცვით („შემდგომითი შემდგომად“) – ჯერ აღზრდა მშობლებთან, მერე მიმოსვლა, შრომა, ღვაწლი, ქადაგებანი და სასწაულნიო.

ე. ბოლოს დასძენს, ეს ყოველივე როგორ აღწერა: ამბისათვის „არცა შემიმატებია, არცა დამიკლია, არამედ ძალი სიტყვისაჲ და გამოცხადებაჲ საქმისაჲ მოკლედ და მარტივად წარმომითქუამს და მრავალ-კეცსა და ამასვე თანა აღრეულობასა ჰანბავისასა თანაწარხდით ვარ“. თუ სადმე თხრობისას სიტყვათა გადაბმა იყო საჭირო, ამ შემთხვევაში ვიხმარე წმიდათა მიერ თქმული ფრაზები და გამოთქმებიო.

ბოლო პუნქტიდან იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს არსენმა აიღო „ნინოს ცხოვრების“ ძველი რედაქცია და მასში მოთხრობილი ამბები დაალაგა მექანიკურად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. შრომის შინაარსობრივი შესწავლიდან ირკვევა, რომ მას დაუწერია სრულიად ახალი, ორიგინალური თხზულება.

კ. კეკელიძე წერს: „ენაწვლიანობა, რომელიც მეტაფრასებს ასე ახასიათებს, იმას მიზნად არ დაუსახავს; მართალია ისიც, რომ არ დაუკლია მისთვის; რაც ძუელსა შინა ეწერა, ის სავსებით ამოუწურავს, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ავტორს, როდესაც ამბობს, რომ ძუელისათვის არა შემიმატებია რაო. შემატებული მას ბევრი აქვს როგორც ფაქტობრივი მასალა, ისე განყენებული მსჯელობა, ლოცვა და საუბარი ამა თუ იმ საგნის შესახებ“.

ამასვე აღნიშნავს ქ. ცხადაძე: „არსენ ბერს პირველი ორი რედაქცია ლიტერატურულად დაუმუშავებია, შეუვსია, შეუსწორებია სხვა წყაროებიდან მოპოვებული მასალებით და მოუცია ახალი რედაქცია „ნინოს ცხოვრებისა“. იგი ატარებს მეტაფრასტული აგიოგრაფიის ყველა ნიშანს. მასში ავტორი

აყალიბებს თავის საკუთარ შეხედულებებს მთელ რიგ საკითხებზე, რომლის გადაჭრა-გადაწყვეტასაც იძლევა ძირითად ნაწილში. დამატება (იგივე დასკვნა) აგრეთვე შეიცავს სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილ ისტორიულ ამბავთა თხრობას“.

არსენის ტექსტები გავრცობილია ახალი მოტივებით, პასაჟებით, შესავალითა და დანართით; ამასთან იგი შემოკლებულიცაა: ავტორს ძველი რედაქციების ზოგიერთი ისტორიული რეალია უარუყვია, ამოუღია სომხური ტენდენციის მაუწყებელი ადგილებიც, რადგანაც XI-XII საუკუნეების ოფიციალური საეკლესიო თვალსაზრისით, რომელიც კატეგორიულად უპირისპირდება მონოფიზიტურ -გრიგორიანულ სარწმუნოებას, ქართველი განმანათლებლის ურთიერთობა სომხებთან მიუღებელი იყო.

ძველი შედგება სამი ნაწილისაგან – შესავლის, ნინოს ცხოვრების შემცველი მოთხრობისა და დანართისაგან, რომელსაც უძღვის სათაური „ესეც წაურთე ყოველი, რამეთუ შუენიერ არს, საყურელნო, და სატრფიალო მსმენელთათვს“, და ერთვის ანდერძი. ამათგან შესავალი და დანართი მთლიანად არსენის კალამს ეკუთვნის; ძირითად ამბავშიც რამდენიმე პასაჟი ჩართულია სხვადასხვა ლიტერატურული წყაროდან.

თხრობა იწყება ქვეყნად იესო ქრისტეს მოვლენისა და მისი მესიანური მოღვაწეობის აღწერით. სხარტად გადმოცემულია მაცხოვრის შობა ქალწულისაგან, აღზრდა, ნათლისღება, სასწაულნი და ქადაგებანი, სიკვდილი, აღდგომა და ზეცად ამაღლება, შემდეგ – მოციქულთა მიმოსვლა და ქრისტიანული მოძღვრების გავრცელება. მასალა ამოღებულია სახარებიდან და მოციქულთა საქმიდან. შემდეგ არსენი მოგვითხრობს ანდრია მოციქულის მისიონერულ მოღვაწეობას. აქ იყენებს ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილ ძეგლს – „მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა ყოვლად ქებულისა და დიდებულისა მოციქულისა ანდრეასი“, რომელიც მისთვის კარგად

იყო ცნობილი: ის შეტანილია არსენის მიერ გადაწერილ ხელნაწერში (H-1347). შემდეგ არსენი ეხება მოციქულთა მისიონერულ საქმიანობას; იუწყება, თუ რა ნაყოფი გამოიღო მათმა მოღვაწეობამ, იქვე იხსენიებს ქრისტიანული სჯულისათვის წამებულთ, მათ შორის გიორგის დროს კაპადუკიაში ცხოვრობდა მისივე თანამოქალაქე, ახოვანი და განთქმული მხედარი ზაბილონი (ნინოს მამა). ამ ფაქტის მითითებით მთავრდება თხზულების შესავალი. ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა არსებითად იმეორებს „ქართლის მოქცევის“ და ლეონტი მროველის რედაქციებს, ოღონდ, ძველ ამბავს ზოგან ამოკლებს, ზოგანაც ავრცობს, ან ამა თუ იმ ფრაზას ცვლის საკუთარი შეხედულებისამებრ. მაგალითად:

**„მოქცევა ქართლისა“:** „და მაშინ გამოვიდა მირიან მეფე თუალ-შეუდგამითა ხილვითა“ (გვ.118.); „მისცეს სუსანა ცოლად მისა და წარვიდეს თჳსად ქალაქად კოლასედ. და მე ოდენ ვიშეე მათგან. და იგინი არიან მშობელნი ჩემნი“ (გვ.109).

**ლეონტი მროველი:** „მაშინ გამოვიდა მირიან მეფე საზარელითა და თუალთშეუდგამითა ხილვითა“ (გვ. 88); „და მისცა სუსანა ცოლად ზაბილონს. და წარვიდა ზაბილონ თვისად ქალაქად კოლასტრად. ესე წმიდად ნინო, მოძღუარი ქართლისა, მათგან იშვა ოდენ მხოლოდ, თჳნიერ სხჳსა შვილისა“.

**არსენ იყალთოელი:** „ამისა შემდგომად გამოვიდა მეფე მირიან ებნითა და ქნარითა, და ხმითა ნესტჳსადთა და მრავლითა სახიობითა. (გვ.21). „მისცა სიხარულით დად თჳსი ცოლად ზაბილონს და წარგზავნა ქუეყნად თჳსად კაპადუკიად, რომელთაგან იშვა მხოლოდ ღირსი და ნეტარი ნინო – ხეთა კეთილთაგან ნაყოფი კეთილი და სათნოი ღმრთისადა“.

არსენს თხზულებაში ჩაურთავს ვრცელი პასაჟებიც. მაგ: ენათა განყოფა, რომელიც მოხდა ქრისტეს აღსრულებიდან მეერგასესა წელსა (საქმე მოც, თ. 2); მოციქულთა მიერ წილის ყრა, თუ ვინ სად



წავიდეს ქრისტიანული სჯულის საქადაგებლად; საქართველოს ღმრთისმშობლისადმი წილხვდომილობის იდეა.

თხზულებაში ნინოს ბიოგრაფიული ფაქტები, რომელნიც „ქართლის მოქცევის“ და ლეონტი მროველის „ჰამზავთა მეფეთა“-ში არეულ-დარეულად (წინა-უკმო) არის წარმოდგენილი, არსენს დაულაგებია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და მოუცია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაბმული მოთხრობა, რის გამოც „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია ქართული აგიოგრაფიის ერთ-ერთი საუცხოო ნიმუშად შეიძლება ვცნოთ. მასში შემატებული პასაჟებიდან ზოგი (მაგ. ნინოს ლოცვა, ზოგადი თეოლოგიური მსჯელობანი და ზოგიერთი ისტორიული რეალიაც) არსენის ფანტაზიის ნაყოფია (ან მის საკუთარ მოსაზრებას წარმოადგენს. არსენის მიერ ჩართულ პასაჟებს ან შესწორებულ საისტორიო რეალიებს კი დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართლის მოქცევის ისტორიის შესასწავლად, რადგან ეს ავტორი ნინოს ცხოვრების აღწერისას ითვალისწინებდა ძირითადად იმ მასალებს, რომელთაც სანდოდ და ჭეშმარიტად თვლიდა.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ არსენისეულ რედაქციაში ქართლის მოქცევის ამბავი ამგვარი თანმიმდევრობითაა გადმოცემული: თავდაპირველად ავტორი აღწერს მოციქულთა წილისყრის ეპიზოდს, რომლის შედეგადაც ღვთისმშობელს წილად ხვდა ივერიაში საქადაგებლად შემოსვლა და უფლის ნებით როგორ გადაწყდა, რომ ღვთისმშობლის ნაცვლად ჩვენს ქვეყანაში საქადაგებლად მოციქული ანდრია პირველწოდებული გამოიგზავნა. შემდგომ ახსნილია, თუ რატომ გახდა მოციქულების შემდეგ აუცილებელი წმინდა ნინოს საქართველოში საქადაგებლად შემოსვლა. მოციქულებმა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე ბევრი მოაქციეს, მაგრამ მეფე და ქვეყნის უმეტესი ნაწილი კერპთმსახურების სიბნელეში დარჩა. ამ ფაქტმა განაპირობა წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლა და ქრისტიანობის კვლავ ქადაგება. თხზულების მიხედვით, წმინდა ნინოს საქართველოში წარმოგზავნა ასე

მოხდა: ერთხელ, როდესაც წმიდა ნინო ღვთისმშობლის ხატთან ლოცულობდა, საღმრთო ძალით ღვთისმშობლის სენაკთან იქნა აღტაცებული. მას ყოვლადწმიდა ქალწული გამოეცხადა და უთხრა: „აჰა, წარგზავნი ჩემს წილხვდომილ ჩრდილოეთის ქვეყანაში, საქართველოში. წადი სიმხნით და უშიშად და მის მკვიდრთ ჭემმარიტება უქადაგე“. შეძრწუნებულმა წმიდანმა მიუგო: „დედოფალო, როგორ შევძლებ ამას სუსტი და უსწავლელი დედაკაცი?“ მაშინ ღვთისმშობელმა მოკვეთა იქვე ამოსული ვაზის რტო, რომლისგანაც ჯვარი შექმნა, მისცა და უთხრა: „ამით დაძლევე ეშმაკის ყველა მანქანებასა და წარმართავ ქადაგებას, ხოლო მე შეგეწევი და არ დაგტოვებ“. ჩვენების შემდგომ წმიდა ნინომ იხილა, რომ ხელში ვაზის ჯვარი ეპყრა და შეძრწუნებულმა ადიდა უფალი და ღვთისმშობელი. მან პატრიარქს მოუთხრო ყოველივე ეს და ამ სასწაულის ნიშანი – ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ჯვარი აჩვენა. ზაფხულის დამდეგს წმიდა ნინო ჯავახეთის მთებით შემოვიდა საქართველოში. ფარავნის ტბასთან ორი დღე შეჩერდა და მეთევზურთაგან მირთმეული საკვებით ძალა მოიკრიბა. დასასვენებლად მიწაზე მიწოლილს ძილში ბრწყინვალე კაცი ეჩვენა, რომელმაც დაბეჭდილი წერილი მისცა და უთხრა: „ეს წერილი წარმართთა მეფეს მიართვი, რადგანაც აქ ამისთვის მოივლინე“. წერილის თავში რომაულად იესოს სახელი ეწერა და, როგორც მოსეს ქვის ფიცრებზე, ათი სიტყვა იყო დაწერილი. ამ სიტყვებით, რომლებსაც რ. სირამე „ქართულ დეკალოგს“ უწოდებს, დასაბუთებული იყო ქალის მოციქულებრივი მისია. თხზულებაში შემდგომ ნათვამია, რომ წმ. ნინომ ექვსი წელიწადი იცხოვრა საქართველოში: ცრემლითა და მოუკლებელი ლოცვით. მისი საშვებელი მარხვა იყო, სამოსელი – უხეში ქსოვილისა, ხოლო განსასვენებელი სარეცელი - მიწაზე დაგებული ძაძა. თხზულებაში დიდი ადგილი ეთმობა სასწაულებს, რომლებსაც წმინდა ნინო უფლის სახელით ჩადიოდა და სწორედ ამ სასწაულების შედეგი ნანა დედოფლისა და მირიან მეფის მოქცევა.

ამრიგად „ნინოს ცხოვრების“ არსენისეული რედაქცია ფრიად მნიშვნელოვანი აგიოგრაფიული შრომაა. მასში თავმოყრილია საინტერესო და ზოგჯერ უნიკალური მასალები და ცნობები ქართლის მოქცევისა და განმანათლებელთა ვინაობაზე. ამ მხრივ არსენის წვლილი ფასდაუდებელია.

**თავი IV. ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი“.** ნიკოლოზ გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავი“ საეტაპო მნიშვნელობის ძეგლია. იგი მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავს ქართველთა გაქრისტიანების ისტორიაზე. ავტორი განმარტავს, რატომ მოაქცია საქართველო ქალმა – წმინდა ნინომ და რატომ იყო საქართველოს მეფე ქალი – თამარი. ქალის კულტი, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ესთეტიკურ ფენომენად იქცა, ნათლად აირეკლა ამ თხზულებაში. ამდენად, სვეტიცხოვლის საკითხავი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის გამომხატველ თხზულებად გვევლინება.

სვეტიცხოვლის საკითხავი ბევრ ისეთ ცნობას შეიცავს, რომელიც სხვა წყაროდან არ ვიცით. მაგ.: ამბავი თურქთა შემოსევისა (საბინინი 1882: 109), კოზმან ბერის ნაამბობი (საბინინი 1882:109), ცნობები ნიკოლოზის ბიძის, სვიმეონ პატრიარქისა (საბინინი 1882: 110), დავით აღმაშენებლის ჩვენება, რომელიც მას იოანე კათალიკოსისთვის უამბია (საბინინი 1882: 114-115), ეპისკოპოსთა ფიცი, რომელიც საქართველოს ეკლესიის იერარქიის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია და სხვა.

„საკითხავი“ საყურედღებოა წმინდა ნინოს ღვაწლის შეფასების თვალსაზრისითაც, რადგან გულაბერისძე არის თამარის ეპოქის ავტორი, რომელიც არა მხოლოდ აღწერს, არამედ აფასებს ნინოს – ქალსა და „საზეპურო ერის“ განმანათლებელს.

უნდა შევნიშნოთ, რომ წმინდა ნინოს ცხოვრების აღწერა გულაბერისძის მიზანი არ ყოფილა. ძეგლს სრულიად განსხვავებული მიზანდასახულება აქვს. კ. კეკელიძე მიუთითებს, რომ „ნიკოლოზის მიზანი ყოფილა აღეწერა ამ თხზულებაში ის

სასწაულები, რომელნიც სვეტიცხოვლის მიერ სრულდებოდა ქართველების მოქცევისას და შემდეგშიც. ვინაიდან სვეტიცხოვლის ამბავს ცენტრალური ადგილი უკავია ნინოს ცხოვრებაში, თავისთავად ცხადია, ავტორი ვერ ასცდებოდა ვერც ნინოს ცხოვრების აღწერას“ (კეკელიძე 1951:298).

გულაბერისძის თხზულების ჟანრობრივი სპეციფიკის განხილვა მჭიდრო კავშირშია ძეგლის კომპოზიციური საკითხების განხილვა-შეფასებასთან. „სვეტიცხოვლის საკითხავი“ კომპ-ოზიციურ-სიუჟეტური თვალსაზრისით თითქოს ოთხი პირობითი ნაკვეთისგან შედგება: 1. შესავალი; 2. ნინოს ცხოვრება; 3. ა) სვეტიცხოვლისა და ბ) კვართის სასწაულები; 4. სვეტიცხოვლის შესხმა (გიხაროდენი).

შესავალში ავტორი თავად გვიხსნის თხზულების კომპოზიციურ-სიუჟეტური და ლოგიკური აგების, სტრუქტურის (თხრობაში წმინდა ნინოს ხაზის ჩართვის) მიზეზს (განმარტავს „მიზეზსა ცხადყოფისასა“, საბინინი 1882:70) „სამნი ესე სამებისა წმიდისა მსახვებელნი: კათოლიკე ეკლესია, კუართი უფლისა და სუეტი ცხოველი, საუნჯესა უკუდავმყოფელსა გუანაყოფებენ, მირონსა, ვითარცა ღმერთმყოფელსა და ნათელმყოფელსა გვიწყარობენ“ (საბინინი 1882:70). ე. ი. თხზულების კომპოზიციაც ამგვარადვეა აგებული: საუბრობს კათოლიკე ეკლესიაზე, მოციქულთა ღვაწლზე, სადაც ახსენებს პეტრესა და იაკობს და ლოგიკურად გადადის ნინოზე, რომელიც არის ერთ-ერთი საფუძველი საქართველოს ეკლესიისა, მოციქულთა სწორი დედა, რომელზეც დგას ქართული ეკლესია, ისევე, როგორც ზოგადად მოციქულთა ღვაწლზე - ეკლესია. თუკი პეტრე არის კლდე, რომელზეც დაემენა ეკლესია, წმინდა ნინოც არის ის საფუძველი (თორმეტთა თანა მეთამეტე მოციქული), ის „მიზეზი“, რომელიც განაპირობებს „ქართლებრთა ამათ აღმოსავლეთის ეკლესიათა სიმტკიცეს“, ვინც არის „სულთა ჩვენთა გამომხსნელი სამოელის მონებისა და ტყუეობისაგან“. (საბინინი 1882: 71).

ძეგლის ავტორი შესავალშივე გამოკვეთს, როგორც საკითხავის შედგენის მიზანს, ისე წმინდა ნინოს ცხოვრების მონაკვეთების ჩართვას და ჩართულ მონაკვეთთა შერჩევის სპეციფიკას (შემოკლების მიზეზებს) და გვამცნობს: „რამეთუ ვინ გამოწულილვით მეძიებლობდეს დასაბამსა და ვინაობასა და სადაობასა ნეტარისა მის ნინოსასა, წიგნი იგი ხელად მიიღენ აღწერილი მოწერილობით მოთხრობისათვის ქართველთა ცხოვრებისა და მისგან გუჟყოს ყოველივე აღმავსებლად ჩუენისა ნაკლულევანებისა, ხოლო ჩუენ შესაბამად წმიდისა ამის დღესასწაულისა მხოლოდ აღმავსებლად კმა საყოფელი რეცა სულ მცირედ შემოკლებული თხრობილი მოხსენებაი ნინოსიცა აღწეროთ და შემდგომითი შემდგომად შეუდგინოთ ყოველივე ჯეროვანი გამოსაჩენელი და საცნაურყოფელი სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოისა დიდებულებაი უგუნ-ურებისა ჩუენისაგან შესაძლებელი“. (საბინინი 1882:73). ამგვარად, ნიკოლოზ გულაბერისძემ თავადვე განმარტა მიზეზი წმინდა ნინოს ცხოვრების შემოკლებული ვერსია-რედაქციის ჩართვისა, განსაზღვრა თხრობის მიზანი, რაგვარობა, თხზულების (საკითხავის) შედგენის მოტივაცია და, ამასთანავე, მიუთითა უპირველესი წყაროც, საიდანაც ნინოს ღვაწლის წარმოჩენისას უსარგებლია.

კ. კეკელიძემ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში შენიშნა გულაბერისძის საკითხავის მსგავსება ლეონტი მროველის ძეგლთან. მკვლევრის აზრით, ნინოს მოღვაწეობა და ღვაწლი აქაც ისევეა შეფასებული და გადმოცემული, როგორც „ქართველთა ცხოვრებაში“ (კეკელიძე 1951: 298).

ჩვენი აზრით, სვეტიცხოვლის საკითხავი არის ჰომილეთიკური ჟანრის თხზულება, კერძოდ, სადღესასწაულო ქადაგება. ჰომილია, როგორც ცნობილია, სამღვდელო პირთა მიერ წარმოთქმული მოძღვრება-ქადაგებაა, რომელიც ან წინასწარ

იწერებოდა შემთხვევის მიერ, ან ქადაგების შემდეგ ჩაიწერდნენ ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ ძეგლში ჩართულია წმინდა ნინოს ცხოვრების საკმაოდ ვრცელი ეპიზოდი, ვერ ვიტყვით, რომ იქმნება წმინდანის ხატი. ავტორისთვის მნიშვნელოვანია არა წმინდა ნინოს ღვაწლის განზოგადება, არა მისი მაგალითად, სახედ წარმოჩენა, არამედ წმინდა ნინოს ღვაწლის შედეგი – „ქართლ ებრთ-ა ამათ აღმოსავლეთის ეკლესიის“ დაფუძნება. წმინდა ნინოს ღვაწლის ჩართვა თხზულებაში ემსახურება ნიკოლოზის მიზანს – სათავე დაუდოს სვეტიცხოვლის დღესასწაულს. წმინდა ნინო არ არის გულაბერისძის თხზულების ცენტრალური ფიგურა. აქ არ არის ნაჩვენები მხოლოდ და საკუთრივ ქართველთა განმანათლებლის ღვაწლი (მიუხედავად კ. კეკელიძის მითითებისა, რომ თხზულებაში მოცემულია „გააზრება და შეფასება ნინოს ღვაწლისა და მისი საქმიანობისა საქართველოში“, რასაც ცხადია, ვეთანხმებით, მაგრამ დავძენთ, რომ ამ გააზრება-შეფასებას ნიკოლოზი საკითხავის შედგენის მიზანს უქვემდებარებს (კ.კეკელიძე 1951:105).

თხრობა არც წმინდა ნინოს მოღვაწეობის პირველ დღეთა გადმოცემით (როგორც ეს საერთოდ ხდება აგიოგრაფიულ თხზულებებში, უფლის ან ღვთისმშობლის მიერ წმინდანის სამოღვაწეოდ მოწოდებით) იწყება და არც მისი გარდაცვალებით სრულდება. ძეგლში ნამდვილად წარმოჩენილია წმინდა ნინოს სახე განსხვავებულ კონტექსტში. ამ განსხვავებულ ხედვას კი გულაბერისძის მიზანი ქმნის.

**თავი V. ნინოს ცხოვრების პერიფრაზი და სვინაქსარული რედაქციები.** როგორც გარკვეულია, „ნინოს ცხოვრების“ პერიფრაზი XIII საუკუნის უცნობ მცხეთელ ავტორს ეკუთვნის (ქ. ცხადაძე). ეს რედაქცია წარმოადგენს არსენ იყალთოელის მეტაფრასული „ნინოს ცხოვრების“ შემოკლებულ ვერსიას.

მეხუთე თავში ასევე განხილული გვაქვს წმინდა ნინოს სვინაქსარული რედაქციები. მსგავსად ვრცელი ცხოვრების რედაქციებისა მრავლადაა ცნობილი წმინდა ნინოს ცხოვრების სვინაქსარული რედაქციებიც.

ქართულ ლიტურგიკულ კრებულებს წმინდა ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ოთხი რედაქცია შემოუნახავს. უძველესი რედაქციის მოკლე სვინაქსარული ცხოვრების ერთადერთი ნუსხა მოთავსებულია XI საუკუნის Sin. 4 ხელნაწერში, რომლის ტექსტი „სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ გამოსცა აკად. ივ. ჯავახიშვილმა.

ეს სვინაქსარული ცხოვრება პერიფრაზულია. თავისუფალი თხრობის ფორმით, სულ რამდენიმე წინადადებით აღნიშნულია წმინდა ნინოს მოღვაწეობის ძირითადი მომენტი – „დავიწყებული ქუეყანაჲ ქართლისაჲს“ მოქცევა. აქვე გაკვრითაა ნათქვამი, რომ მიზეზი წმინდა ნინოს ქართლში სამისიონერო მოღვაწეობისა „ქართველთა ნათესავის“ ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობა იყო.

„ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ პირველი რედაქცია საფუძვლად დადებია მეორე XIV საუკუნის ხელნაწერით ცნობილ, შედარებით ვრცელ რედაქციას. H-600 ხელნაწერში, რომელიც ნინოს ვრცელ, ჭელიშური რედაქციის სახელით ცნობილ ცხოვრებას შეიცავს, ვრცელი ცხოვრების ბოლოს მოთავსებულია ნინოს სვინაქსარული ცხოვრება და საგალობლები. ე.ი. ვრცელი ცხოვრების ტექსტს დართული აქვს ნინოს დღესასწაულის დღის სრული „განგება“. სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია მხოლოდ ამ ხელნაწერის ნუსხითაა ცნობილი. ამ თხზულების აშკარა სვინაქსარული ხასიათის მიუხედავად, მისი ნუსხა არც ერთ ლიტურგიკულ კრებულში არ შეგვხვედრია.

## დასკვნები

„ნინოს ცხოვრება“ ძალზე საინტერესოდ და ორიგინალურად გაიაზრებს და გადმოსცემს ქართული კულტურის ისტორიის ისეთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, როგორცაა ქართლის მოქცევა, ანუ გაქრისტიანება. ქართლის სამეფოს, როგორც სასულიერო, ისე საერო სფეროს მესვეურებს შესანიშნავად ჰქონდათ გაცნობიერებული და ღრმად გააზრებული ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიღების, როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიურ-კულტურული არსი და მნიშვნელობა. ამის მტკიცე საბუთი კი ქართლის მოქცევის შესახებ შექმნილი თხზულებაა თავად. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც გაქრისტიანება თავისი არსით გაცნობიერებული და გააზრებული ნაბიჯია ერის ისტორიაში.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც IV საუკუნის 20-იან წლებში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარა და ეს ფაქტი უპირობოდ უკავშირდება ქართველთა განმანათლებლის – წმიდა ნინოს სახელს.

წმიდა ნინოს დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ქართლში შემოსვლის დროს ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. მისი ქადაგების შედეგად სამეფო კარის წევრებთან ერთად მთელი ერი მოექცა ახალ სარწმუნეობაზე. ამის გამო ითვლება იგი ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთა სწორად.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმიდა ნინოს ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთაწორად მიიჩნევს. ქართული წყაროები მას „ქართლის მაცხოვრად“ და „დედად ქართველთა თემისაჲს“ უწოდებს.

საქართველოს ეკლესია ქართველთა განმანათლებლის დღეს წელიწადში ორჯერ აღნიშნავს: პირველ ივნისს, მისი საქართველოში შემოსვლისა, ხოლო ოცდამეხუთე იანვარს – წმიდა ნინოს მიცვალებისა.



ყოველი ახალი ეპოქა ახლებურად გადაიაზრებდა წმიდა ნინოს ღვაწლს, და, შესაბამისად, იქმნებოდა „ნინოს ცხოვრების“ ახალ-ახალი რედაქციები, რომლებიც თავისებურად პასუხობდნენ სხვადასხვა ეპოქის მოთხოვნილებას. ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინოსადმი მიძღვნილი წერილობითი წყაროები მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მათი მრავალმხრივობა იმითაა განპირობებული, რომ ქართული წერილობითი წყაროების გარდა, მის შესახებ ცნობები დაცულია ადრეული ხანის უცხოურ წერილობით წყაროებში. თავის მხრივ, ქართული წყაროების მრავალფეროვნება იმაში გამოიხატება, რომ ჩვენამდე მოაღწია ქართველი განმანათლებლისადმი მიძღვნილმა ჰაგიოგრაფიული თხზულების რამდენიმე რედაქციამ, რომელიც სხვადასხვა საუკუნით თარიღდება.

„ნინოს ცხოვრების“ რედაქციებს შორის მიმართებები ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. უძველესი რედაქციები „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტშია თავმოყრილი:

ა) მოკლე „ნინოს ცხოვრება“, რომელშიც, თავის მხრივ, ნახსენებია გრიგოლ არქედაიკონის უფრო ადრეული „მოკლე ქართლის მოქცევის“ წიგნი;

ბ) ვრცელი „ნინოს ცხოვრება“, ძირითადად, წმ. ნინოს მონათხრობს ემყარება და წარმოადგენს წმ. ნინოს თანამედროვე მოღვაწეების – სიდონიას, აბიათარ მღვდლის, პეროჟავრი სივნიელის, სალომე უჯარმელის, იაკობ მღვდლის, სუჯი დედოფლისა და მირიან მეფის თხზულებათა (მოგონებათა) კრებულს.

2. ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრება“ ემყარება „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ შემავალ ორივე ტექსტს – „ნინოს ცხოვრების“ მოკლე რედაქციას „ქართლის ცხოვრების“ შემდეგნეული ქრონოლოგიური პარადიგმის ფუნქციას აკისრებს და სათანადო ადგილებში შეაქვს ჩანართები ვრცელი „ნინოს ცხოვრებიდან“.

3. არსენ იყალთოელის „ნინოს ცხოვრება“ ქართველთა განმანათლებელი ქალწულისადმი მიძღვნილი პირველი მეტაფრასული თხზულებაა, რომელშიც გასწორებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრების“ ძირითადი ნაკლი (რაზეც ავტორი თავად მიუთითებს) – თხრობის ქრონოლოგიური სწორხაზობრიობის უქონლობა. გარდა ამისა, არსენი ტექსტს ამდიდრებს ქართლის მოქცევისადმი მიძღვნილი სხვა თხზულებების ცნობებით.

4. ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი“ ჰომილეტიკური თხზულებაა, რომელშიც დასმულია თამარის ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივი აზრისთვის ნიშანდობლივი საკითხები, როგორცაა: ქალის მოციქულობა და გამეფება, საქართველოში დაუნჯებული ქრისტიანული სიწმინდეები და მათგან მომდინარე სასწაულები. შესაბამისად, ნაწარმოებში აღწერილ სასწაულებს, რომელთა ნაწილიც სრულიად უცხოა „ნინოს ცხოვრების“ სხვა რედაქციებისთვის, კონცენტრირებულია სამი სიწმინდის – სვეტიცხოველის, საუფლო კვართის და ჯვარი პატიოსანის გარშემო.

5. „ნინოს ცხოვრების“ პერიფრაზი წარმოადგენს არსენ იყალთოელისული ტექსტის შემოკლებულ ვერსიას.

6. ნინოს ცხოვრების პირველ სვინაქსარულ რედაქციაში წმ. ნინოს ღვაწლი წარმოჩენილია ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და მოციქულთა ქადაგების კონტექსტში. უფრო ვრცელია მეორე სვინაქსარული რედაქცია, რომელიც XIV საუკუნით თარიღდება.

განხილული ძეგლების მიზანია წარმოჩნდეს წმიდა ნინოს მოციქულებრივი ღვაწლი და ქართლის მოქცევის მნიშვნელობა.

**Batumi Shota Rustaveli State University**  
**Faculty of Humanities**  
**Georgian Philology Department**

**With the right of manuscripts**

**Ketevan Davitadze**

**Editions of "St. Nino's Life"**

**Speciality: Literary Studies**

**Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for  
PhD Degree of Philological Science**

**SYNOPSIS**

**Batumi**  
**2018**

Dissertation has been performed in the Department of Georgian Philology, Humanitarian Sciences Faculty of Batumi Shota Rustaveli State University

**Scientific Advisor:**

**Ramaz Khalvashi**, Doctor of Philological Sciences,  
Professor of Humanitarian Sciences Faculty of Batumi  
Shota Rustaveli State University

**Reviewers:**

**Elguja Makaradze** - Doctor of Philological Sciences,  
Associate Professor,

**Shota Zoidze** - Doctor of Philological Sciences,  
Emeritus Professor, Chief Researcher of Niko  
Berdzenishvili Institute

**Lela Kukuladze** - Doctor of Philological Sciences,  
Associate Professor

Defense of the Dissertation will be held on December 7, 2018 at 5 o'clock at the meeting of the Dissertation Council of Humanitarian Sciences Faculty, at the following address: Batumi 6010, Ninoshvili Str. N 35, the first building of the University, Auditorium №37

The content of the Dissertation work can be accessed at the Library of Batumi Shota Rustaveli State University.

**Natela Phartenadze** - The secretary of the Dissertation Board,  
Doctor of Philology, Associate Professor

## Introduction

### **The subject of the research and the relevance of the Paper.**

Christianity has left an indelible mark on the history of mankind. It became the basis of many historical events and facts. This religion with its ideology predetermined the future and political life of many people and countries, including Georgia and the Georgian people as well.

IV century AD is one of the most important periods in the history of humanity. After the crucifixion of God, the Christian religion, which was founded on the day of Pentecost, suffered many torments, persecutions and humiliations during the first three centuries of its history. Therefore, a new phase in the history of mankind has begun since IV century AD, when Christianity became the state religion in different countries.

Georgia is one of the first countries which recognized Christianity as the state religion in the 20s of the IV century, and this fact is undoubtedly associated with the name of St. Nino, who spread Christianity in Georgia.

The Georgian Church is Apostolic, because the Apostles spread Christianity. The preaching of the Apostles is one of the main principles of autocephaly. In Kartli (Iberia) Christianity was declared as a state religion during the reign of the king Mirian. The Georgian Church was subordinated to the Antiochian Church and gained independence (autocephaly) later, during Vakhtang Gorgasali's reign. This fact was confirmed by the VIII Ecumenical Council of Constantinople (680 BC): "Brdzanes esret tsnidisa eklesiisa sakartvelosatvis, romel ars tsmida mtskheta, rata ikos stsor pativita vitartsa samotsikulo katolike eklesiani" (the autocephaly of the Georgian church was recognized by the order of the Holy Church of Constantinople). (Chapter I: 232; Goiladze 1991: 189).

However, it is unclear why St Nino entered Georgia if the apostles spread Christianity themselves. The answer to this question was sought in ancient times as well. So, still Ephraim noticed some inconsistencies

